ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 12 აგვისტოს

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 12 აგვისტოს რიგგარეშე

სხდომის

ო ქ მ ი № 21

დ. ხარაგაული

12 აგვისტო 2019 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ვარლამ ჭიპაშვილი -საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ -ს თავმჯდომარე,

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ნინო მაღლაკელიძე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

ჯაბა ბერაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

ლ. ნიქაცაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიუროს სხდომის დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საბიუჯეტო ცვლილების განხილვის დაწყებისას ბიუროს წევრთა მოთხოვნით ბიუროს სხდომაზე მოწვეული იქნა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ჯაბა ბერაძე.

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ შეკითხვა დაუსვა მომხსენებელს საბიუჯეტო ცვლილებაში ხევის საზოგადოებრივი ცენტრისა და საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის შესაძენად 38 000 ლარის ბიუჯეტიდან გამოყოფის თაობაზე და აქვე აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად მიწის ნაკვეთის შეძენა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ვინაიდან მისი განმარტებით მიწის ნაკვეთის შეძენა უნდა მოხდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ვისი საჭიროებისთვისაც უნდა დაინგრეს ზემოთ აღნიშნული შენობები.

ნ. მაღლაკელიძემ- განუმარტა, იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არ აღმოაჩნდა თავისუფალი მიწის ნაკვეთი ხევის ტერიტორიაზე მისი შესყიდვა უნდა მოხდეს კერძო პირისაგან, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული თანხა.

ჯ. ბერაძემ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მას არაერთგზის ჰქონda ურთიერთობა საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან და მათგან მიიღეს პასუხი, მიწას არ იყიდიან მუნიციპალიტეტისათვის, მათი განმარტებით ასეთი პრეცედენტი პრაქტიკაში არ ჰქონიათ ისინი მუნიციპალიტეტს აუშენებენ საზოგადოებრივი ცენტრისა და საბავშვო ბაღის შენობებს.

ვ. ჭიპაშვილი დაინტერესდა შესასყიდი მიწის ნაკვეთზე თუ იქნებოდა აუდიტის დასკვნა.

ჯ. ბერაძემ განმარტა, რომ საკრებულოს სხდომისათვის 14 აგვისტოს წარმოადგენდნენ აუდიტის დასკვნას მიწის შეფასებასთან დაკავშირებით.

გ. თავზარაშვილმა, პ. გოგოლაძემ რომლებიც იზიარებენ მ. ფხალაძის აზრს და არ ეთანხმება მუნიციპალიტეტის მიერ მიწის ნაკვეთის შესყიდვის საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 14 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 14 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2.დაევალოს საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეებს (ვარლამ ჭიპაშვილი, მალხაზ ფხალაძე) საკითხი განიხილონ კომისიის სხდომაზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**